N 214 25/06/2019

**ოქმი N9**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

2019 წელი, 25 ივნისი
ქ. ოზურგეთი
11.00 სათი -12.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.არუშიძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, შ.გოგიბერიძე, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, მ.გოგოტიშვილი, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, შ.თავდიშვილი, დ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, პ.კიღურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტუღუში, ვლ.ღლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ო.თოთიბაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 37-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

საკითხის განხილვის დაწყებამდე განცხადებების გაკეთება ითხოვა საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ.

ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს ფრაქციამ „ოზურგეთის მომავლისათვის“ ფრაქციის სხდომაზე იმსჯელა

ქვეყანაში მიმდინარე წლის 20-ივნისს და შემდგომ დღეებში მომხდარ მოვლენებზე, სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მომიტინგეების დაყენებულ მოთხოვნებს და მიიღო გადაწყვეტილება მათ დაკმაყოფილებამდე არ დაესწრონ საკრებულოს სხდომებს. მას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ შალვა თავდიშვილმა, რომელმაც დამატებით მოითხოვა საკრებულოს შეეფასებინა მიმდინარე მოვლენები და დატოვა საკრებულოს სხდომა.

**დღის წესრიგი**

41. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის ასაშენებელი შენობის პროექტის მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო